





რობერტ მუზილი

ყმაწვილი ტერლესის  
სულიერი შფოთვა

ონლაინ  
გადაღებები

რობერტ მუზილი  
ყავილი ტერლესის სულიერი შფოთვა

Robert Musil  
DIE VERWIRRUNGEN DES ZÖGLINGS TÖRLESS

გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძემ

■ Federal Ministry  
Republic of Austria  
Arts, Culture,  
Civil Service and Sport

Supported by the Austrian Ministry for Arts, Culture, Civil Service and Sport.

გარეკანზე: კადრი ფოლკერ შლენდორფის ფილმიდან „ახალგაზრდა ტერლესი“.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-662-9

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ყრაფვილი ტერლესის სულიერი შფოთვა



რუსეთისკენ მიმავალ გზაზე მდებარე რკინიგზის პატარა სად-გური.

ოთხი პარალელური ლიანდაგი უსასრულობაში იკარგებოდა; თითოეულს ჭუჭყიანი ჩრდილივით გასდევდა გამონაბოლქვით ჩა-მუქებული ხრეშის ზოლები.

დაბალი, ზეთის სალებავით შეღებილი რკინიგზის შენობის უკან ფართო, დატკეპნილი გზა ზემოთ, სადგურისკენ, ადიოდა. გზის ნა-პირები გამომშრალ მინას უერთდებოდა და მათზე მხოლოდ გზის ორივე მხარეს ჩარიგებული უსიცოცხლო, უწყლობისგან, მტვრისა და ჭვარტლისგან გამომშრალი აკაციის ხეები თუ მიგანიშნებდათ.

ამ მიმქრალი ფერებისა თუ ნაშუადლევის ძალაგამოლეული მზის გაცრეცილ, მომთენთავ შუქზე საგნებსა და ადამიანებს ისე-თი უსიცოცხლო და მექანიკური იერი ჰქონდათ, თოჯინების თეატ-რიდან მოტანილი რეკვიზიტი გეგონებოდათ. დროის თანაბარ მო-ნაკვეთებში სადგურის უფროსი ოთახიდან გამოდიოდა, სადლაც შორს იხედებოდა და დარაჯის ჯიხურიდან სიგნალის მოლოდინში ყოველ ჯერზე თავს ერთნაირად აბრუნებდა, თუმცა ჩქარი მატა-რებლის მოახლოებას არავინ ატყობინებდა. როგორც ჩანს, მატა-რებელი საზღვარზე შეაფერხეს და ამდენ ხანს ამიტომაც აგვიანებ-და; ხელის ერთი და იმავე მოძრაობით სადგურის უფროსი ჯიბი-დან საათის იღებდა, დახედავდა ხოლმე, თავს გადაიქნევდა და ისევ ოთახში ბრუნდებოდა – ძველი კოშკის საათის იმ ფიგურებივით, საათში ერთხელ რომ გამოჩნდებიან და უჩინარდებიან.

რელსებსა და შენობას შორის ფართო, დატკეპნილ ზოლზე ახალ-გაზრდების მხიარული ხმები ისმოდა. ასაკოვანი ცოლ-ქმარი ახალ-

გაზრდებს შუაში მოექციათ და ხალისიანად, საუპრით მიაბიჯებდნენ. მაგრამ ნამდვილი არც მათი მხიარულება იყო; სიცილის ხმა რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისე იკარგებოდა, თითქოს რაღაც გადაულახავ, უხილავ წინააღმდეგობას წააწყდა, თითქოს მიწამ შთანთქაო.

კარის მრჩევლის მეუღლეს, ორმოცი წლის ქალბატონს სევ-დიან, ტირილისგან ოდნავ დანითლებულ თვალებს სქელი პირბადე უმალავდა. გამომშვიდობების დრო ახლოვდებოდა და ერთადერთი ვაჟიშვილის უცხო ხალხთან დატოვება ისე, რომ საყვარელ პირ-მშობე თავად ვერ იზრუნებდა, ეძნელებოდა.

პატარა ქალაქი ხომ დედაქალაქიდან შორს, იმპერიის აღმო-სავლეთით, დაუსახლებელ და გვალვისგან გამოფიტულ მინდვრებს შორის მდებარეობდა.

მიზეზი, რატომაც ქალბატონი ტერლესი თავისი ვაჟის ასე შორს, მიუსაფარ უცხოობაში ყოფნას შეგუებოდა, ის იყო, რომ ამ ქალაქში მდებარეობდა ცნობილი ინტერნატი, რომელიც გასულ საუკუნეში აეშენებინათ საქველმოქმედო ფონდის მიწაზე და მერე მისთვის ადგილი აღარც შეეცვალათ, სავარაუდოდ, დიდი ქალაქის მავნე გავლენისგან მოზარდების დასაცავად.

ამ ინტერნატში ქვეყნის საუკეთესო ოჯახისშვილები იღებდნენ განათლებას, რათა მისი დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინათ სწავლა, ან სამხედრო თუ სახელმწიფო სამსახურში შეექმნათ კარიერა და ყველა ამ შემთხვევაში, ისევე როგორც საზოგადოების მაღალ წრეებში მოსახვედრად, ინტერნატ ვ.-ს დამთავრება საუკეთესო რეკომენდაცია იყო.

ოთხი წლის წინ ცოლ-ქმარი ტერლესი შვილის პატივმოყვარე, დაუინებულ მოთხოვნას სწორედ ამის გამო დანებდა და მასაც ინტერნატში მიღების ოცნება აუსრულდა.

მოგვიანებით ამ გადაწყვეტილების გამო ცრემლი არაერთხელ დაუღვრიათ. იმ წუთიდანვე, როგორც კი მის ზურგს უკან ინტერნატის ჭიშკარი მიიხურა, პატარა ტერლესი მტანჯველმა, გამომფიტავმა სევდამ მოიცვა. მის გულს არაფერი ახარებდა: არც გაკვეთილები, არც პარკის დიდ ხასხასა მინდვრებში თამაში ან რამე

სხვა გასართობები, რომლებსაც ინტერნატი თავის აღსაზრდელებს უხვად სთავაზობდა. თითქმის არაფერში მონაწილეობდა. ყველა-ფერს თითქოს საბურველი გადაჰკვროდა და ტერლესი ქვითინს ძლივს იკავებდა, საღამოს კი ყოველთვის ტირილით იძინებდა.

წერილებს ლამის ყოველდღე აგზავნიდა შინ და მხოლოდ მა-თით ცხოვრობდა. სხვა ყველაფერი, რასაც აკეთებდა, დროის ფუჭ ფლანგვად მიაჩნდა და ისე უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა, ისე არაფ-რის მთქმელად, როგორც ციფრები საათის ციფერბლატზე. წე-რილის წერისას კი საკუთარ თავში რაღაც განსაკუთრებულსა და გამორჩეულს გრძნობდა; თითქოს იმ ცივი და დუნე ნაცრისფერი შთაბეჭდილებების ზღვაში, ყველა მხრიდან რომ ეკვროდა და ავინ-როებდა, მის სულში მზით გასხივოსნებული ფერადოვანი კუნძული ჩნდებოდა. და როცა დღისით თამაშისას ან გაკვეთილების დროს იმაზე ფიქრობდა, რომ საღამოს წერილს დაწერდა, ასე ეგონა, უხი-ლავ ჯაჭვზე დაკიდებულ ოქროს გასაღებს გმალავო, რომელსაც – თუ ვერავინ დაინახავდა – ჯადოსნური ბალის ჭიშკარს მოარგებდა.

უცნაური ის იყო, რომ მშობლებზე ეს დამქანცველი მიჯაჭ-ვულობა, ასე უუცრად რომ იჩინა თავი, მისთვის რაღაც ახალი და უსიამოვნოდ უცხო აღმოჩნდა. მანამდე ეს ვერც კი წარმოედგინა და ინტერნატში თავისი სურვილით, სიხარულით წავიდა. გაეცინა კიდეც, დედამ გამოშვიდობებისას ცრემლი რომ ვერ შეიკავა და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მარტო დარჩა და თავს ცუდადაც არ გრძნობდა, მონატრებამ მასში სტიქიასავით იფეთქა.

თავიდან ამას სახლისა და მშობლების მონატრებას მიაწერდა, თუმცა სინამდვილეში ეს რაღაც გაურკვეველი და რთული გრძნო-ბა გახლდათ, რადგან მშობლების სურათ-ხატი „მონატრების სა-განი“ აღარ იყო. იმ მოგონებას კი არ ვგულისხმობ, რომელსაც მხოლოდ გონება ინახავს, არამედ საყვარელ ადამიანზე გარკვეულ პლასტიკურ, სხეულებრივ ხსოვნას, ყველა გრძნობას რომ ეპასუხე-ბა და ყველა გრძნობაში ინახება, ასე რომ მუდამ გრძნობ გვერდით მის მდუმარე, უხილავ არსებობას. ეს მოგონება მაღე ხანმოკლე გამოძახილივით ჩაჩუმდა. მაშინ, მაგალითად, ტერლესი „ძვირფას

შშობლებს“ – გულში ასე ეძახდა ხოლმე მათ – ცხადად ვეღარც კი წარმოიდგენდა. როგორც კი მათ წარმოიდგენას ეცდებოდა, მაშინ-ვე უსაზღვრო ტკივილი ეუფლებოდა. ეს მონატრება სასჯელი იყო, რომელიც თავნებობდა და თავის ტყვეობაში ამყოფებოდა, რადგან მისი მწველი ცეცხლი ტკივილსაც აყენებდა და ხიბლავდა კიდეც. მშობლებზე ფიქრი უფრო და უფრო ეგრისტური ტანკვეის მიზეზად ყალიბდებოდა და, ტკბილ-მნარე სიამაყედ გადაქცეული, თავის მარნუხებში ამყოფებდა; ეს ფიქრი განმარტოებულ სამლოცველოს ჰგავდა, სადაც ასობით აალებული სანთელი და წმინდანთა ხატების ასობით თვალი იმ ტკივილს უკმერეს გუნდრუკს, რომელსაც თვითგვემისას განიცდიან...

როცა „სახლის მონატრებამ“ სიმწვავე დაკარგა და თანდათან მინელდა, მონატრების ეს ხასიათი სრული სიცხადით გამოვლინდა. ამ გრძნობის გაქრობამ ნანატრი კმაყოფილების ნაცვლად ახალგაზრდა ტერლესის სულში სიცარიელე დატოვა. ამ სიცარიელემ მიახვედრა, რომ ის, რაც დაკარგა, უბრალოდ მონატრება კი არა, რაღაც პოზიტიური, სულიერი ძალა იყო, რომელიც თითქოს ტკივილს ამოფარებოდა.

ახლა კი ეს ძალა გამქრალიყო და ამ ნეტარების მასაზრდოებელი წყარო მხოლოდ მისი დანრეტის წყალობით იგრძნო.

ამ დროისთვის მის წერილებში გამოღვიძებული სულის კვალი გაქრა და ის ინტერნატში ყოველდღიური ცხოვრების აღწერამ და ახლად შეძენილ მეგობრებზე ამბებმა ჩაანაცვლა.

თვითონ თავს განძარცულ, გაშიშვლებულ ხესავით გრძნობდა, რომელიც უნაყოფო ყვავილობის შემდეგ პირველ ზამთარს ეგებება.

მშობლები კი კმაყოფილები იყვნენ. პირმშო ისე ძლიერ, ანგარიშმიუცემლად და ნაზად უყვარდათ, როგორც ცხოველს თავისი ნაშიერი. ყოველთვის, როცა არდადეგები მთავრდებოდა, ქ-ნ ტერლესა სახლი ცარიელი და უდაბური ეჩვენებოდა; შვილის ყოველი სტუმრობის შემდეგ რამდენიმე დღე თვალცრემლიანი დადიოდა ოთახებში და სიყვარულით ეხებოდა იმ ნივთებს, რომლებსაც შვი-

ლის მზერა ან ხელი შევლებოდა. ცოლ-ქმარი ტერლესი მზად იყო, მისი კეთილდღეობისთვის თავი არ დაეზოგა.

შვილის წერილების უმწეო მგრძნობიარობა და გაუნელებელი, უსაშველო სევდა ქ-ნ ტერლესს ტკივილს განაცდევინებდა და მუდამ დაძაბული, სიმშვიდეს ვერ პოულობდა; მხიარულება, კმაყოფილება და უდარდელობა, რომელიც მოგვიანებით მის წერილებში იგრძნობოდა, ქ-ნ ტერლესს ახარებდა, ძალას მატებდა და აფიქრებინებდა, კრიზისმა ჩაიარაო.

ვერც ერთ და ვერც მეორე შემთხვევაში მშობლებმა შვილის გარკვეული სულიერი განვითარების ნიშნები ვერ ამოიცნეს და ტკივილიც და სიმშვიდეც არსებული მდგომარეობის ბუნებრივ შედეგებად მიიჩნიეს. ის, რომ პირველი ადამიანის სულიერი ძალების განვითარების წარუმატებელი მცდელობა იყო, რომელსაც საკუთარი თავის იმედად დარჩენილმა ახალგაზრდამ მიმართა, ცოლქმარს გამოეპარა.

ტერლესი კი უკმაყოფილო იყო და ხან აქ და ხან იქ ხელის ცეცებით ამაოდ ეძებდა რაღაც ახალს, რაღაც ისეთს, რაც საყრდენად გამოადგებოდა.

ტერლესის შემდგომი განვითარება ამ პერიოდის ერთმა მეტად სახასიათო მოვლენამ განსაზღვრა.

ერთ დღეს სასწავლებელში ახალგაზრდა თავადი ჰ. მოვიდა, რომელიც იმპერიის ერთ-ერთი გავლენიანი, ძველი და კონსერვატიული არისტოკრატული გვარის შთამომავალი იყო.

მისი თვინიერი გამომეტყველება ყველას უხამსობისა და გადაპრანჭულობის გამოხატულებად მიაჩნდა. დგომის მის მანერას – თეძოს ნინ სწევდა ხოლმე და ლაპარაკისას თითებს ნელა ათა-მაშებდა – ყველა დასცინოდა, როგორც ქალურ თვისებას. ინტერნატში უნინდელმა აღმზრდელმა, თეოლოგიის დოქტორმა და ბერმონაზონთა ორდენის წევრმა მოიყვანა და არა მშობლებმა და ესეც დაცინების საგნად იქცა.

ტერლესზე კი მან დანახვისთანავე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. შეიძლება, ამას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ის

მეფის კარზე მიღებული უფლისწული იყო, ყველასგან განსხვავებული, ვისაც აქამდე იცნობდა.

თითქოს ჯერ კიდევ თან ახლდა ძველი ციხე-კოშკისა და ლვის-მოსაური აღზრდის მდუმარება. სიარულისას რბილად და მოქნილად მოძრაობდა, რაც უკაცური ანფილადების წელში გამართულად გავლის ჩვევასთანაა დაკაგშირებული, ანფილადებისა, სადაც ვინმე სხვა, ალბათ, ცარიელი სივრცის უხილავ კუთხეებს დაეჯახებოდა.

უფლისწულთან ურთიერთობა უნატივეს ფსიქოლოგიურ ტკბობას განაცდევინებდა. სწორედ მასთან ურთიერთობამ გაუკვალა გზა ადამიანის შეცნობის იმ მეთოდისკენ, რომლის მიხედვითაც ადამიანის ამოცნობას ინტონაციის, სიჩუმის ტემპრისა და იმ მანერის მიხედვითაც კი სწავლობ, როგორ ჰყიდებს რამეს ხელს, როგორ უჭირავს თავი და ეხამება გარემოს, მოკლედ, იმ წამიერი, ოდნავ შესამჩნევი და მაინც ავთენტიკური მანერით, რომელიც ადამიანის არსს გარს ერტყმის და მის სულიერ სიღრმეს შეგაცნობინებს.

ტერლესის ცხოვრება ერთხანს იდილიური იყო. ბურუუაზიულ, თავისუფლად მოაზროვნე ოჯახში გაზრდილს, ახალი მეგობრის რელიგიურობა არ ეხამუშებოდა, თუმცა ის მისთვის სრულიად უცხო იყო. ამას დაუჭვებლად იღებდა, უფრო მეტიც, რელიგიურობას უფლისწულის უპირატესობადაც კი მიიჩნევდა, რადგან თვლიდა, რომ ეს კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს ანიჭებდა მის ხასიათს, რომელიც ასე ძლიერ, შეუდარებლადაც კი, განსხვავდებოდა თავისი ხასიათისგან.

უფლისწულის გვერდით თავს დაახლოებით ისე გრძნობდა, როგორც გზიდან მოშორებით მდგარ სამლოცველოში და იმ აზრს, რომ აქ მისი ადგილი არ იყო, ის სიამოვნება აბათილებდა, რომელსაც ეკლესიის სარკმლიდან მზის შუქის ჭვრეტა და უსარგებლო იქროცურვილი მოსართავების ყურება განაცდევინებდა, ასე უხვად რომ დაგროვილიყო ამ ადამიანის სულში; და მათ იმდენ ხანს უმზერდა, სანამ მისი სულის ბუნდოვანი სურათ-ხატი თვალწინ ისე არ გაუცოცხლდებოდა, თითქოს – ისე, რომ ამაზე არც ფიქრობ-

და – ლამაზ, მაგრამ ერთმანეთში უცნაურად გადაწყვლი ხაზების რთულ ქარგას აყოლებს თითსო.

შემდეგ მოულოდნელად მათ შორის განხეთქილებამ იჩინა თავი.

რაღაც სისულელის გამო, როგორც თვითონ ტერლესმა თქვა ამ ამბის შემდეგ.

ერთხელაც ცხარედ იკამათეს თეოლოგიურ თემაზე. და ყველაფერი იმნამს დამთავრდა, რადგან ტერლესის გონება თითქოს მისგან დამოუკიდებლად დაესხა თავს მგრძნობიარე უფლისნულს. რაციონალური გონებისთვის დამახასიათებელი ირონიით ტერლესმა ბარბაროსულად დაანგრია ის ფილიგრანული შენობა, რომელშიც ასე მყუდროდ ბინადრობდა უფლისნულის სული. ისინი გაპრაზებულები დაშორდნენ ერთმანეთს.

იმ დღიდან სიტყვაც აღარ უთქვამთ ერთმანეთისთვის. ტერლესი ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ სისულელე ჩაიდინა; ინტუიცია კარნახობდა, რომ გონების უხეში საზომით სრულიად უდროო დროს რაღაც ფაქიზი და საამო დაამსხვრია. მაგრამ ეს ის იყო, რაც მის ნებას არ ემორჩილებოდა. მომხდარზე სევდამ მასში სამუდამო კვალი დატოვა, მაგრამ ახლა თითქოს სხვა ნაკადში მოხვედრილიყო, რომელიც სულ უფრო აშორებდა ნარსულს.

ცოტა ხნის შემდეგ უფლისნულმა, რომელიც ინტერნატში თავს უცხოდ გრძნობდა, იქაურობა დატოვა.

ტერლესის ირგვლივ ყველაფერი დაცარიელდა და მოსაწყენი გახდა. მაგრამ ამასობაში გაიზარდა და თანდათან სქესობრივი სიმნივეს ნიშნებმაც იჩინა ბუნდოვნად თავი. ცხოვრების ამ მონაკვეთში შესაბამისი მეგობრები შეიძინა, ისინი, ვინც მოგვიანებით მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა: ბაინებერგი და რაიტინგი, მოტე და ჰოფმაიერი, ის ახალგაზრდები, რომლებთან ერთადაც დღეს მშობლებს სადგურში აცილებდა.

უცნაურია, მაგრამ თანატოლებში ისინი უზნეო საქციელით გამოირჩეოდნენ; მართალია, ნიჭიერება არ აკლდათ და კარგი ოჯახიშვილებიც იყვნენ, მაგრამ ზოგჯერ ველურ და მოუთოვავ ზნეს ავლენდნენ. ტერლესს მათი საზოგადოება იმიტომ იზიდავდა, რომ

დამოუკიდებლობა აკლდა, რამაც უფლისწულთან განხეთქილების შემდეგ კიდევ უფრო იჩინა თავი. და კიდევ ეს იმ გულჩილობის შიშიც იყო, რომლის ფონზეც მისი ამხანაგების საქციელი სიჯანსალით, სიცოცხლისმოყვარეობით გამოირჩეოდა.

ტერლესი მთლიანად მათ გავლენაში მოექცა, რადგან მისი სულიერი მდგომარეობა ახლა დაახლოებით ასეთი იყო. მის ასაკში გიმნაზიელებს უკვე წაკითხული აქვთ გოეთე, შილერი, შექსპირი და აღბათ, თანამედროვე ავტორებიც. ეს ნახევრად მოუნელებელი მასალა შემდეგ უკვე მათი კალმებიდან ქაღალდზე მოუმონავს. იქმნება რომაული ტრაგედიები თუ მოჭარბებულად ემოციური ლირიკა, რომლის პუნქტუაციაც ფურცლებზე აუურული მაქმანივით მოჩანს; თავისთავად ეს ყველაფერი სასაცილოა, მაგრამ განვითარებისთვის ფასდაუდებელია, რადგან იმ წლებში, როცა რაღაცას უნდა წარმოადგენდე, მაგრამ იმდენად უმნიფარი ხარ, რომ სინამდვილეში არაფერს წარმოადგენ, სახიფათო ფაშარი ფსიქოლოგიური ნიადაგის გავლაში ახალგაზრდას სწორედ გარედან მოსული ასოციაციები და ნასესხები გრძნობები ეხმარება. შემდეგ უკვე ამ წლებიდან მასში რამე დარჩება თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს. ასე თუ ისე, ყველა თავის თავს ურიგდება და საშიშროება მხოლოდ გარდატების ასაკში ჩნდება. ახალგაზრდას რომ დაანახო, რამდენად სასაცილოა ამ დროს, ალბათ, ფეხებში მიწა გამოეცლება, ან გამოლვიძებული მთვარეულივით, უცებსიცარიელის მეტს რომ ვერაფერს ხედავს, წაიქცევა.

ინტერნატს განვითარების ხელშემწყობი ეს ილუზია, ეს ხრიკი აკლდა. ბიბლიოთეკაში კლასიკოსებს კი იპოვიდით, მაგრამ ასეთი წიგნები მოსაწყენად მიაჩნდათ, ასე რომ იქ, კლასიკოსების გარდა, სენტიმენტალურ მოთხრობებსა და მდარე სამხედრო იუმორესკებსაც ნახავდით.

პატარა ტერლესმა ეს ყველაფერი ისე ხარბად წაიკითხა, როგორც, საზოგადოდ, წიგნების კითხვა სჩვეოდა ხოლმე. ამა თუ იმ მოთხრობიდან რაღაც ბანალურად მგრძნობიარე სურათები ზოგჯერ ცოტა ხნით მოქმედებდა მასზე, მაგრამ მის ხასიათზე არსებოთი გავლენა არ მოუხდენია.

მაშინ თითქოს ხასიათი არც ჰქონდა.

წაკითხულის გავლენით დროდადრო პატარ-პატარა მოთხრობებს წერდა ან რომანტიკული ეპოსის შეთხვას იწყებდა. თავისი პერსონაჟების სასიყვარულო ტანჯვით გამოწვეული მღელვარების-გან სახე ეფაკლებოდა, პულსი უჩქარდებოდა და თვალები ენთებოდა.

მაგრამ როგორც კი კალამს ხელს უვჭებდა, ყველაფერი ავინყდებოდა; გარკვეული თვალსაზრისით, სულიერად მხოლოდ მაშინ ცოცხლდებოდა, როცა რაღაცით იყო შეპყრობილი, ამასთან, შეეძლო, ლექსი თუ მოთხრობა ნებისმიერ დროს, შეკვეთით, დაეწერა. წერისას მღელვარებას განიცდიდა, მაგრამ ამისთვის სერიოზულად არასდროს შეუხედავს – ამ საქმიანობას მისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. წერის პროცესი არც მის პიროვნებაზე ახდენდა გავლენას და არც თვითონ ეს პროცესი განიცდიდა მისი პიროვნების გავლენას. გრძნობები, რომლებიც გულგრილობის ზღვარს სცდებოდა, მასში მხოლოდ გარე აუცილებლობით ჩნდებოდა, როგორც მსახიობს სჭირდება ამისთვის როლის ზეწოლა.

ეს ყველაფერი ტვინის რეაქცია იყო. ის კი, რასაც ადამიანის ხასიათი თუ სული, ღერძი თუ ტონალობა ჰქვია, ყოველ შემთხვევაში, ის, რასთან შედარებითაც აზრები, გადაწყვეტილებები და მოქმედებები ნაკლებად საყურადღებო, შემთხვევითი ან იოლად ჩასანაცვლებელია, ის, რაც, მაგალითად, ტერლესს, გონივრული შეფასების მიღმა უფლისწულთან აკავშირებდა, ეს უკანასკნელი, უძრავი ფონი იმ პერიოდში მასში სრულებით გაქრა.

ამ ფონის საჭიროებისგან მის ამხანგებს სპორტით მოგვრილი სიხარული და ცხოველური გრძნობები ათავისუფლებდათ ისევე, როგორც ამას გიმნაზიაში ლიტერატურით თამაში უზრუნველყოფდა.

მაგრამ ტერლესში სულიერება ჭარბობდა, ამიტომ სპორტი სიხარულს არ ანიჭებდა, ლიტერატურულ თამაშებს კი სასაცილო ნასესხები სენტიმენტებისადმი იმ მომეტებული მგრძნობიარობით ეკიდებოდა, რომელიც ინტერნატის აღსაზრდელს ჩხუბისა და მუშტი-კრიკისთვის მუდმივად მზადყოფნას აიძულებს. ასე რომ, მისმა

ხასიათმა რაღაც გაურკვეველი შეიძინა, ერთგვარი შინაგანი უმწეობა, რომელიც საკუთარი თავის პოვნაში ხელს უშლიდა.

ტერლესი თავის ახალ მეგობრებს აჰყვა, რადგან მათი შფოთანი ხასიათი იზიდავდა. პატივმოყვარე იყო და ცდილობდა, მათთვის არათუ მიებაძა, არამედ ბევრ რამეში გაესწრო კიდეც, მაგრამ ყოველთვის შუა გზაზე ჩერდებოდა, რის გამოც მეგობრები დასცინოდნენ. ეს კი ისევ აფრთხობდა. იმ კრიტიკულ პერიოდში მისი ცხოვრება, არსებითად, მხოლოდ იმის მცდელობა იყო, რომ თავის უხეშ, გაცილებით მამაკაცურ მეგობრებს არაფერში ჩამორჩენოდა და ამ მცდელობას უდიდესი გულგრილობით მოჰკიდებოდა.

მოსანახულებლად ჩამოსულ მშობლებთან მარტოდ დარჩენილს, თავი მშვიდად და მორიდებულად ეჭირა. დედის ალერს გაურბოდა და ყოველ ჯერზე რაღაცას იმიზეზებდა. სინამდვილეში მის ალერს სიამოვნებით მინებდებოდა, მაგრამ ისე რცხვენოდა, თითქოს ამხანაგების მზერას გრძნობსო.

მშობლები მის საქციელს გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელ მოუქნელობას მიანერდნენ.

ნაშუადლევს ახალგაზრდების ხმაურიანი ჯგუფი მოდიოდა. თამაშობდნენ კარტს, ჭამდნენ, სვამდნენ, მასნავლებლებზე ანეკდოტებს ჰყვებოდნენ და დედაქალაქიდან ბ-ნი ტერლესის ჩამოტანილ სიგარეტს ეწეოდნენ.

ახალგაზრდების ეს სილალე ცოლ-ქმარს ახარებდა და ამშვიდებდა.

ტერლესი ხანდახან სხვანაირ გუნებაზეც რომ იყო ხოლმე, მშობლები არც კი ეჭვობდნენ. ბოლო დროს კი ტერლესი სულ უფრო ხშირად იყო ასეთ გუნებაზე. ზოგჯერ ცხოვრება სასწავლებელში სრულიად კარგავდა მისთვის მნიშვნელობას. ის ბლანტი ნივთიერება, რომელიც მის ყოველდღიურ სხვადასხვა საზრუნავს ერთმანეთთან აკავშირებდა, თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებდა და მისი ცხოვრების საათებიც ერთმანეთს უთავბოლოდ შორდებოდა.

შავბნელ ფიქრებში ჩაძირული ხშირად ისე იჯდა, თითქოს საკუთარ თავს ზემოდან დაჰყურებდა.

მშობლების სტუმრობამ ამჯერადაც ორ დღეს გასტანა. ისადი-ლეს, სიგარეტი მოწიეს, სასეირნოდაც იყვნენ და აი, ჩქარი მატა-რებლით მათი დედაქალაქში დაბრუნების დროც დადგა.

რელსების ჩუმი გუგუნი მატარებლის მოახლოებას მოასწავებ-და და ქ-ნ ტერლესს ყურში უმოწყალოდ ჩაესმოდა ზარის ხმა სად-გურის შენობის სახურავიდან.

– ჩემს ბიჭს ხომ მიაქცევთ ყურადღებას, ძვირფასო ბაინე-ბერგ? – მიმართა ბ-ნმა ტერლესმა ბარონ ბაინებერგს, მაღალ, გაძვალტყავებულ ახალგაზრდას, რომელსაც გაფშეკილი ყურები, მაგრამ ჭკვიანი, მეტყველი თვალები ჰქონდა.

ამგვარი მზრუნველობით შეწუხებულმა ტერლესმა უკმაყოფი-ლო სახე მიიღო, ნასიამოვნებ ბაინებერგს კი ცოტა ღვარძლიანად ჩაეცინა.

– საერთოდ, – მიმართა ბ-ნმა ტერლესმა დანარჩენებს, – მინ-და, გთხოვოთ, რომ, თუ ჩემს ვაჟს რამე შეემთხვა, მაშინვე შემატ-ყობინოთ.

ამას შედეგად ახალგაზრდა ტერლესის მობეზრებული ხმით ნათქვამი: „კარგი რა, მამა, რა უნდა დამემართოს?!“ მოპყვა, თუმ-ცა უკვე მიჩვეული იყო, რომ ყოველ ჯერზე გამომშვიდობებისას მშობლები გადაჭარბებულ მზრუნველობას იჩინდნენ.

ტერლესის ამხანაგებმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრეს და მოხდენი-ლი დაშნები შეისწორეს, ბ-ნმა ტერლესმა დაამატა:

– კაცმა არ იცის, როდის რა მოხდება და თუ მეცოდინება, რომ მაშინვე შემატყობინებენ, უფრო მშვიდედ ვიქნები. ხომ შეიძლება, შენ თვითონ მოწერა ვერ შეძლო.

ამასობაში მატარებელიც შემოვიდა სადგურში. ბ-ნი ტერლე-სი შვილს გადაეხვია, ქ-ნმა ტერლესმა კი პირბადე სახეზე უფ-რო მჭიდროდ მიიკრა, რომ ცრემლები არავისთვის დაენახვებინა. ახალგაზრდები ცოლ-ქმარს რიგრიგობით გამოემშვიდობნენ, მატა-რებლის გამცილებელმა კი ვაგონის კარი გააღო.

ცოლ-ქმარმა კიდევ ერთხელ მოჰკრა თვალი სასწავლებლის შენობის უკანა, ყრუ კედელს, სქელ, გრძელ გალავანს, რომელიც

პარქს ერტყა გარს, მერე კი მარჯვნივ და მარცხნივ მხოლოდ მონაცრისფრო-ყავისფერი მინდვრები და აქა-იქ მდგარი ხეხილი გამოჩნდა.

ამასობაში ახალგაზრდებმა სადგურის შენობა დატოვეს და ქუჩის აქეთ-იქით ჩამწკრივებულები – ასე მაინც რომ აერიდებინათ თავი მტვრის ბუღისათვის – თითქმის უხმოდ გაემართნენ ქალაქისკენ.

ექვსი საათი დაწყებულიყო და მინდვრებში საღამოს მაუწყებელი სიცივე იგრძნობოდა.

ტერლესს სევდა მოერია.

შეიძლება, მშობლების გამგზავრებამ დაამწუხრა, შეიძლება – ბუნებაში სიმძიმესავით ჩამოწოლილმა მელანქოლიამ, საგნებს ფერებს რომ უკარგავდა და ყველაფერს მუქად და მქრქალად აჩენდა.

ის აუტანელი გულგრილობა, ნაშუადლევის მერე ყველაფერში და ყველაფერზე რომ იგრძნობოდა, უკვე მინდვრებსაც ედებოდა, უკან კი, წებოვანი შლეიფივით, ბურუსი მოჰყვებოდა და ახლად მოხნულ მინდვრებსა და ჭარხლის ტყვიისფერ ნათესებს ეკვროდა.

ტერლესი არც მარცხნივ იხედებოდა, არც მარჯვნივ, მაგრამ ამ ყველაფერს გრძნობდა. ამხანაგის კვალდაკვალ მაბიჯებდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, თითქოს ქვასავით ძალას მთელი მისი ცხოვრება ამ მოძრაობაში, მტვრიან გზაზე გავლებულ ამ ხაზსა თუ ვიწრო ზოლში მოემწყვდია და ჩაეტკეპნა.

როცა გზაჯვარედინზე შეჩერდნენ, სადაც მათ გზას უკვე სხვა გზა უერთდებოდა და მრგვალ გათელილ ადგილს ქმნიდა, ფუტურო, გვერდზე გადახრილი გზის მაჩვენებელი, რომელიც ასე უცხოდ მოჩანდა ამ გარემოში, ტერლესს სასონარკვეთილების კივილად მოეჩვენა.

გზა განაგრძეს. ტერლესი მშობლებზე, ნაცნობებზე, ცხოვრებაზე ფიქრობდა. ასეთ დროს სტუმრების მისაღებად გამოეწყობიან ხოლმე ან თეატრში ნასასვლელად ემზადებიან. თეატრის შემდეგ რესტორანში მიდიან, ორკესტრს უსმენენ ან კაფეში სხდებიან. ახალ, საინტერესო ნაცნობებს იძენენ. გალანტური თავგადასავლის

მოლოდინი დილამდე გრძელდება. ცხოვრება, ჯადოსნური ბორბა-ლივით, თავისი წიაღიდან მუდამ რაღაც მოულოდნელს და ახალს გამოაგორებს...

ამ ფიქრებში გართულმა ტერლესმა ამოიოხრა და რაც უფრო უახლოვდებოდა სასწავლებლის სივიზროვეს, მით უფრო მტკიცნეულად ეკუმშებოდა გული.

ზარის ხმა უკვე ყურებში ედგა. არაფერი ისე არ აშინებდა, როგორც ეს ხმა, დანის დაუნდობელ დარტყმასავით ულმობლად რომ აუწყებდა დღის დასასრულს.

ქვეყანაზე ჯერ არაფერი ენახა და მისი ცხოვრება ფუჭად და უშინაარსოდ მიედინებოდა, ამ ზარის ხმით კი ამას რაღაც დამცინავიც ემატებოდა და საკუთარ თავზე, ბედსა და უშინაარსოდ დამარხულ კიდევ ერთ დღეზე მრისხანებისგან აკანკალებდა.

მეტს ვეღარაფერს ნახავ, დანარჩენ თორმეტ საათს ვეღარაფერს ნახავ, თორმეტი საათი მკვდარი იქნები – აი, ამას აუწყებდა ზარების რეკვა.

ქოხივით დაბალ შენობებს რომ მიუახლოვდნენ, ტერლესს შავ-ბნელი აზრები გაეფანტა. თითქოს ცხოველმა ინტერესმა შეასყროო, თავი ასწია და დაბალი, ჭუჭყიანი შენობების დაბურულ ფანჯრებში შეიხედა.

თითქმის ყველა შენობის კართან ქალები იდგნენ, ხალათები და ხამის პერანგები ეცვათ და გაუხეშებული ჭუჭყიანი ფეხები და შიშველი, გარუჯული მკლავები ჰქონდათ.

ახალგაზრდები და ჩათქვირულები ხუმრობით რაღაც უხამს სლავურ სიტყვებს მიაძახებდნენ ხოლმე. ერთმანეთს მუჯლუგუნს ჰკრავდნენ და „ახალგაზრდა ბატონების“ დანახვაზე ხითხითებდნენ; ვიღაც წამოიყვირებდა ხოლმე, თუ ჩავლისას ამ „ახალგაზრდა ბატონთაგან“ რომელიმე მკერდზე გაეხახუნებოდა, ან სიცილით ლანძღავდა, თუ თეძოზე ხელს დაარტყამდა. ვიღაც მათ უბრალოდ სერიოზულად და ბრაზით აყოლებდა თვალს. გლეხი კი, თუ შემთხვევით იქ აღმოჩნდებოდა, ახალგაზრდების ჯგუფს დაბნეული და კეთილი ღიმილით უყურებდა.

ტერლესი თავისი ამხანაგების ონავრულ, ადრე მომწიფებულ მამაკაცურ ხუმრობებს შორიდან აკვირდებოდა.

ნაწილობრივ, ამას განაპირობებდა დედისერთებისთვის დამასასიათებელი სიმორცხვე, რომელიც სქესობრივ საკითხს უკავშირდებოდა, თუმცა დიდწილად ამის საფუძვლად მაინც მისი მგრძნობიარე ბუნება უნდა მიგვეჩნია, რომელიც, მისი მეგობრებისგან განსხვავებით, გაცილებით ძლიერი, ფარული და პირქუში იყო და თავსაც ბევრად უფრო რთულად ავლენდა.

იმ დროს, როცა სხვები ქალებთან გამომწვევად არა უინის, არამედ უფრო იმის გამო იქცეოდნენ, რომ თავი „მაგარ ტიპად“ მოეჩენებინათ, პატარა და ჩუმი ტერლესი შინაგანად ღელავდა და ნამდვილი ბინიერების მათონახებსაც მძაფირად გრძნობდა.

თვალებანთებული, პატარა ფანჯრებში და ვიწრო, კუთხოვანი ჭიშკრიდან ეზოს სიღრმეში ისეთი ინტერესით იყურებოდა, რომ თვალები უჭრელდებოდა.

ნახევრად შიშველი ბავშვები ეზოს ტალახში გორაობდნენ, ქალებს მუშაობისას ქვედატანიდან შიშველი მუხლები მოუჩანდათ, ტილოს პერანგი მძიმე მკერდზე ეჭიმებოდათ. და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ეს ყველაფერი სრულიად სხვა, ცხოველურ, შემაღლებელ ატმოსფეროში ხდებოდა. სახლების დერეფნებიდან დახაშული, მძიმე ჰაერი მოედინებოდა, რომელსაც ტერლესი ხარბად ისუნთქავდა.

მუზეუმებში ნანას ძველი ოსტატების ტილოებზე ფიქრობდა, თუმცა მათი მნიშვნელობა კარგად არ ესმოდა. რაღაცას ელოდა ისე, როგორც ამ ნახატებიდან ელოდა მუდამ რაღაცას და ეს რაღაც არასდროს ხდებოდა. რას?.. რაღაც განსაცვიფრებელს, არნახულს; დაუჯერებელ სანახაობას, რომელზეც იოტისოდენა წარმოდგენაც არ ჰქონდა; რაღაც შემზარავ და ცხოველურად ავხორცულს, რომელიც სხეულში კლანჭებივით ჩაესობოდა და დაფლეთდა; მოვლენას, რომელიც ამ ქალების ბინძურ ხალათებთან, მათ გაუხეშებულ ხელებთან, მათ სოროსავით დაბალჭერიან მოცუცქნულ ოთახებთან... მათი ეზოების სიბინძურესთან რაღაც